

1 აგვისტო

რიგითი XVIII კვირადღე, «ბ», [II], მწ

2021

კვირა

გამ 16,2-4.12-15; ფს 77; ეფ 4,17.20-24; იო 6,24-35

მამა ღმერთმა აღბეჭდა იგი იო 6,27

იესო საკუთარ თავზე საუბრობს. მას შეუძლია დარწმუნებით ილაპარაკოს, უდიდესი თავმდაბლობით, რადგან ხუთი პურიტ ხუთიათასი კაცი გააძღო – ჭემმარიტად ღვთიური საქმე! მამამ შეისმინა მისი ლოცვა, ზეცისაკენ თვალაპყრობილმა რომ აღავლინა. ამგვარად მან ყველას დაანახა, რომ იგი ღვთის ძე იყო ნამდვილად!

2 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

წმ. ევსები ვერჩელელი, ეპ., +372;/წმ. პეტრე ივლ. ეიმარდი,
ხუც., +1868;/(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამ., +-1227

2021

ორშაბათი

რიცხ 11,4-15; ფს 80; მთ 14,13-21

უდაბნოში განმარტოვდა მთ 14,13

რა ლამაზი სანახავი ხარ, იესო, განმარტოებული
რომ ესწრაფი მამა შენთან ყოფნას! შენ არც ტაშსა
ხარ დახარბებული და არც ნებისმიერ ფასად გინდა
ხალხში ყოფნა. მეტიც, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ
შენი მიზანია მიგვმართო ყველანი მამისაკენ, რო-
მელსაც ცოდვამ დაგვაშორა.

3 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

2021

სამშაბათი

რიცხ 12,1-13; ფს 50; მთ 14,22-36

გამხნევდით, მე კარ,
ნუ გეშინიათ! მთ 14,27

შენი მოწაფენი შეშინებულან. მათ არასოდეს ენახე წყალზე მოარული. უნდა გაამხნევო ისინი. შენი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა, მაშინაც კი, როცა ჩვეულისაგან განსხვავებული სახით ვლინდება, უსაფრთხოებაა ჩვენთვის. ჩვენთვის კმარა, რომ ვიცოდეთ რომ ეს შენა ხარ, და შიშის გაქრება ჩვენი გულიდან.

4 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II]

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუც., +1859, (მ), თ

2021 ოთხშაბათი

რიცხ 13,1-3.25 - 14,1.26-30.34-35; ფს 105; მთ 15,21-28

უფალო, შემეწიე მე! მთ 15,25

ესაა ქალი, რომელიც ქალიშვილის მდგომარეობით იტანჯება. მიმართავს იესოს, დარწმუნებული იმაში, რომ მის სიტყვას ძალუძს განდევნოს ეშმაკი, გოგონას სხეული და სული რომ დაუპყრია. თანაც წარმართია ეს ქალი; არ იცნობს აბრაამისა და მოსეს ღმერთს. მით უფრო მშვენიერია მისი ჯიუტი და თავმდაბალი რწმენა! იესოს ისლა დარჩენია, რომ აღფრთოვანდეს მისით და ნიმუშად წარუდგინოს იგი თავის მოწაფეებს.

5 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ
წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

2021 ხუთშაბათი

რიცხ 20,1-13; ფს 94; მთ 16,13-23

უღის საკრებულოს დღეობა მთაში

ჯოჯოხეთის ბჭენი
ვერ სძლევენ მას მთ 16,18

იესო კვლავ პეტრეს ელაპარაკება, მას შემდეგ, რაც
სასუფევლის გასაღებებს დაჰპირდა და უთხრა, რომ
მასზე და მის რწმენაზე დააფუძნებდა ეკლესიას,
რომელიც იარსებებდა მისდამი მტრულად
განწყობილ წუთისოფელში. თუმცა მოწაფეებს არ
უნდა ეშინოდეთ: ახლა იგი აღუთქვამს მათ, რომ
ღევნაც კი ვერ დააქცევს ეკლესიას.

6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალთელი, მონაზონი, +1041

2021

პარასკევი

დან 7,9-10.13-14; ფს 96; მარ 9,2-10

ესაა ჩემი საყვარელი ძე,
ისმინეთ მისი მარ 9,7

ჩვენ იმ მთაზე ვართ, სადაც ეკლესიის პირვანდელი ლოცვის ჯგუფი ისმენს საღვთო წერილს, ანუ, მოსესა და ელიას: ისინი ნამდვილად გვეხმარებიან იესოს უფრო ღრმად გაცნობაში. სიხარული და შიში ეუფლებათ მოწაფეებს. მაგრამ ყველაზე მშვენიერი ეს ხმაა, რომელსაც ისმენენ: „ეს არის...“. ახლა ხედავენ მხოლოდ იესოს და ისმენენ მხოლოდ მის სიტყვებს: ის არის და იქნება ერთადერთი მოძღვარი, რომელიც მამის ძალმოსილებით ასწავლის.

7 აგვისტო

რიგითი XVIII კვირა [II], მწ

წმ. ქსისტე II პაპი და მეგ., წამებ., +258;

წმ. კაეტანე, ხუცესი, +1547

2021

შ ა ბ ა თ ი

რჯლ 6,4-13; ფს 17; მთ 17,14-20

აქ მომგვარეთ მთ 17,17

მთიდან ჩამოსული სამი მოწაფე ახალი მოვლენის
მომსწრე ხდება: მათმა მეგობრებმა, იესოს სხვა
მოწაფეებმა, ვერ შეძლეს ეშმაკის განდევნა. ბოროტს
მხოლოდ იესოსი ეშინია. გინდა, რომ ბოროტი შენში
არ მკვიდრობდეს? მუდამ იესო ატარე გულით და
გაუგონე და დაჰყევი მას.

8

აგვისტო

რიგითი XIX კვირადღე, «ბ», [III], მწ

2021

კვირა

3მეფ 19,4-8; ფს 33; ეფ 4,30 – 5,2; იო 6,41-51

პური, რომელსაც მე გავცემ,
ჩემი ხორცია ქვეყნის
სიცოცხლისათვის იო 6,51

მადლობა, იესო, რომ გვასწავლე ვითხოვოთ
ყოველდღიური პური, პური არსობისა.
უნებლიედ ვითხოვთ იმ პურს, რომელზეც დღეს
გველაპარაკები: შენი ხორცი, შენი ხელშესახები,
ნამდვილი ყოფნა ჩვენში. ესაა პური, რომელიც
გვაძლევს აუცილებელ ძალებს შენი მცნებებით
ცხოვრებისათვის – ერთუროთის შესაყვარად,
მაშინაც კი, როცა ეს რთულია.

9 აგვისტო

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა,
(ელიტ შტაინი), ქალწ. დაწამ., +1942, ევროპისმფარველი, დ, [ს], წ

2021

ორშაბათი

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

ცათა სასუფეველი ჰგავს ათ ქა-
ლწულს, რომელნიც გამოვიდ-
ნენ ნეფის შესახვედრად მთ 25,1

რამდენი იგავი თქვა იესომ! დღევანდელი
გვეხმარება განუწყვეტლივ დავაკვირდეთ იმას,
თუ რა სული გვამოძრავებს და გვამოქმედებს.
გონიერი ვარ თუ უგნური? უფლის მოლოდინში
ვარ თუ ჩემ საკუთარ საქმეებზე ვზრუნავ?
მოდი, იესო: მზადა ვარ შენთვის!

10 აგვისტო

წმ. ლავრენტი, დიაკ. და წამ. +258, დ, [ს], წ;
(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

2021

სამშაბათი

2კორ 9,6-10; ფს 111; იო 12,24-26

ვინც მე ემსახურება, მას
პატივს მიაგებს მამა იო 12,26

წმიდა ლავრენტი იესოს ემსახურა ღარიბებზე ზრუნვით, საკრებულოს ყველაზე სუსტი წევრებისათვის შრომითა და გარჯით, და ამგვარად მიუძღვნა უფალს თავისი ცხოვრება როგორც დიაკონმა. მამა ამოიცინობს მასში თავისი სიყვარულის იარაღს და ამიტომ პატივს მიაგებს მას.

ჩვენც მივაგებთ მას პატივს ღმერთთან ერთად და შევეცდებით, მივბაძოთ მას.

11 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წმ.
წმ. კლარა ასიზელი, ქალწ. + 1253, (მ), თ

2021

ოთხშაბათი

რჯლ 34,1-12; ფს 65; მთ 18,15-20

თუ შეისმინა შენი,
შეგიძენია ძმა შენი მთ 18,15

იესომ იცის, რომ მისი მოწაფენიც არიან და იქნებიან
ცოდვილნი. დასჭირდებათ შესწორებაც, მოქცევაც,
ატანაც და დახმარებაც. უპირველეს ყოვლისა
საკუთარ თავზე ვიქნებით ყურადღებით და მივიღებთ
ძმათა მხრიდან შესაძლო შესწორებებს. და სხვათა
შესწორებისას სიფაქიზითა და მშვიდობით, არ
დავზოგავ მთელ ჩემს სიყვარულს.

12 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III], მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, მონ., +1641

2021 ხუთშაბათი

იესო 3,7-10.11.13-17; ფს 113ა; მთ 18,21 - 19,1

გეცოდინებათ, რომ ცოცხალი
ღმერთია თქვენს შორის იესო 3,10

ეპიზოდი, რომელსაც დღეს იესო ნავეს ძის
წიგნიდან ვკითხულობთ, ძალიან ლამაზია და
მრავლისმეტყველი. ხალხმა უნდა გადალახოს
იორდანე წყალუხვობისას. როგორ შეძლოს ეს?
მღვდლები, რომელთაც ხელთ უპყრიათ აღთქმის
კიდობანი, ემორჩილებიან და შეაბიჯებენ წყალში.
რწმენისა და მორჩილების ეს ქმედება აღწევს
სასწაულს: წყლები იყოფა და ხალხი მშრალზე
გადადის! ღმერთი უგონებს გამგონეთ.

13 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III], მწ

(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018;
წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუც., წმ., +235

2021

პარასკევი

იესო 24,1-13; ფს 135; მთ 19,3-12

არიან საჭურისნი, რომელთაც
თავად დაისაჭურისეს თავი ცათა
სასუფეველის გულისათვის მთ 19,12

საჭურისია ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია
სქესობრივი კავშირი. ზოგიერთი ამგვარია
თანდაყოლილი დეფექტით, სხვები კი ადამიანური
ნებით. არიან ისინიც, ვინც ნებაყოფლობით ამბობს
უარს, რათა სულითა და ხორციით მიეძღვნას ცათა
სასუფეველს. ამგვარად მთელი მისი ცხოვრება
ეკუთვნის ღმერთს. იგი იქნება უკიდევანო და წმიდა
სიყვარულის მოწმე, სიყვარულისა, რომელიც არ
ფიქრობს საკუთარ თავზე, არამედ მიეძღვნება
უანგარობითა და სიხარულით!

14 აგვისტო

რიგითი XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუც. და წამ., +1941, (მ), წ

2021

შ ა ბ ა თ ი

იესო 24,14-29; ფს 15; მთ 19,13-15

გამოუშვით, ნუ უშლით
ბავშვებს ჩემთან მოსვლას მთ 19,14

იესოს ეს-ესაა დაუსვეს კითხვები მრუშობის
შესახებ, და აი, მის ირგვლივ ბავშვებმა მოიყარეს
თავი. რატომ არ ეკითხებიან მათ აზრს, როდესაც
მშობლების გაყრაზე იწყება ხოლმე საუბარი?
შვილებიც ხომ ისევე უყვარს ღმერთს როგორც
მშობლები და დალოცავს მათ, მამასადამე მათი
აზრი ანგარიშგასაწევია!

15

აგვისტო

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის
ზეცად აღყვანება, დღე, [ს], თ

2021

კვირა

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-26; ლკ 1,39-56

თბილისის ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა;
უღის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

დიდი საქმე მოიმოქმედა ჩემში ძლიერმა

ლკ 1,49

რა ზეიმია დღეს ზეცაში! ჩვენც ვმონაწილეობთ.
თვით მარიამი გვეხმარება ამ დიდი სიხარულის
მიზეზის გარკვევაში. ღმერთმა, ჩვენმა შემოქმედმა
და მამამ, იზრუნა მასზე და მნიშვნელოვნად აქცია
იგი თავის თვალში და ჩვენს თვალში. მთელი
სამყაროს შემქმნელს სურდა მისი საშუალებით
ქვეყანა გაეხარებინა ჩვენში მოსული ძით.
როდესაც ძე მოვიდა სამყაროში, ის ყოველთვის იქ
იყო, სადაც დედა, ახლა კი, როცა ძე ზეცაშია, დედა
არის იქ, სადაც ივია.

16 აგვისტო

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების
კათოლიკური საკათედრო ტაძრის კუროთხევად,
დღ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

2021 წმ. სტეფანე უნგრელი, +1038; (3.VIII) წმ. რაქდენ მოწამე, +457
ორშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30, ფს 94, ეფ 2,19-22, იო 4,19-24

თუ გსურს შეხვიდე სიცოცხლე-
ში, დაიცავი მცნებანი 8თ 19,17

იესო პასუხობს მნიშვნელოვან კითხვას:
როგორაა შესაძლებელი მარადიული ცხოვრების
დაგემოვნება? პირველი ნაბიჯი ასეთია: ათი
მცნების დაცვა. მცნებების დაცვით ჩვენ უკვე
ახლოს ვართ ღმერთთან, უკვე მის გულში ვართ.
შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება გადასადგმელი:
ვაქციოთ იესო ჩვენი გულის ერთადერთ
საგანძურად და საამისოდ მივატოვოთ მოქიშპე
საგანძური, ამქვეყნიური სიმდიდრე.

17 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

2021 სამშაბათი

მსჯ 6,11-24; ფს 84; მთ 19,23-30

ვინლა ცხონდება? მთ 19,25

მოწაფენი შეფიქრიანებულან. თუ მარადიული
სიცოცხლისათვის აუცილებელია საკუთარი
სიმდიდრის დატოვება, მაშ ვინლა მიაღწევს მას?
სიღარიბეში ცხოვრება ხომ არავის უნდა, და არც
იოლად მიატოვებს იმას, რასაც ფლობს. იესო კიდევ
უფრო გვაკვირვებს: ღმერთს ძალუძს ეს სურვილი
აღუძრას ადამიანს გულში.

18 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

2021 ოთხშაბათი

მსჯ 9,6-15; ფს 20; მთ 20,1-16

იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი – უკანასკნელნი მთ 20,16

იესომ იცის, რომ ფარისევლებს, მას რომ უსმენენ,
ჰგონიათ, რომ პირველი ადგილი უჭირავთ ღმერთის
გულშიც და შესაბამისად მის სასუფეველშიც,
ყველა დანარჩენს კი უკანასკნელებად თვლიან.
მამისთვის კი პირველია ის, ვისაც ძე ჰყავს გულში!

19 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV], მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი, +1680

2021 ხუთშაბათი

მსჯ 11,29-39; ფს 39; მთ 22,1-14

მეგობარო, როგორ შემოხვედი
აქ საქორწილო სამოსის
გარეშე? მთ 22,12

მემართება ხოლმე, რომ მოვთხოვ რამეს უფალს
მისი ნების აღსრულებისათვის ძალისხმევის გარეშე,
მინდა ვიყო მასთან თანაზიარებაში მისთვის ყურის
დაგდების გარეშე. როგორ ვუპასუხო ამ კითხვას?
შემიწყალე და მომიტევე, უფალო იესო! ახლავე
ვიწყებ შენი ნების აღსრულებას.

20 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. ბერნარ კლერვოელი,

აბატი და ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

2021

პარასკევი

რუთ 1,1.3-6.14-16.22; ფს 145; მთ 22,34-40

შეიყვარებ უფალს, შენს ღმერთს... შეიყვარებ შენს მოყვასს,
როგორც საკუთარ თავს მთ 22,37.39

მადლობა, მამაო ჩემო. ამ ბრძანებით ნებასა მრთავ
შენ დაგემსგავსო, ვიყო შენნაირი, ვიცხოვრო შენს
აზრებთან და სურვილებთან თანხმობაში.
მე კი მინდა, მაგრამ შენი დახმარების გარეშე
რას შევძლებ?!

21 აგვისტო

რიგითი XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914, (მ), თ

2021

შ ა ბ ა თ ი

რუთ 2,1-3.8-11; 4,13-17; ფს 127; მთ 23,1-12

თქვენს შორის უდიდესი
თქვენი მსახური იყოს მთ 23,11

ეს უდიდესი გადატრიალებაა. ყველა ადამიანი
ესწრაფვის იმას, რომ ისინი მიიჩნიონ დიდებად და
ემსახურონ მათ. იესოს მოწაფეებს კი სურთ იყვნენ
მსახურნი, რათა მამამ საკუთარი ძის მსგავსება
დაინახოს მათში.

22 აგვისტო

რიგითი XXI კვირადღე, «ბ», [I], მწ

2021

კვირა

იესო 24,1-2.15-17.18; ფს 33; ეფ 5,21-32; იო 6,60-69

ვარგავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

უფალო, შენა გაქვს საუკუნო
სიცოცხლის სიტყვები იო 6,68

პეტრე მოციქულია, რომ ამბობს ამას, რათა
განმარტოს თუ რატომ, სხვა მოციქულებთან
ერთად, არ მიატოვებს იესოს. მოძღვრის სიტყვა
მას არ აბრკოლებს, მეტიც, ის აუცილებელი ნიჭია
მამასთან მისასვლელად.

23 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

წმ. როზა ლიმელი, ქალწ., +1617

2021

ორშაბათი

1თეს 1,2-5.8-10; ფს 149; მთ 23,13-22

მოიქეცით ღვთის მიმართ
კერპთაგან, რათა ემსახუროთ
ცოცხალსა და ჭეშმარიტ
ღმერთს ^{1თეს 1,9}

ესაა სასიხარულო ამბავი, რომელიც ვრცელდება
მორწმუნეთა შორის: თესალონიკელებმაც
მიატოვეს თავიანთი კერპები, რათა მიმხრობოდნენ
სახარებას, ღვთის ძის რწმენით და დაიწყეს უფლის
ახალი მცნებით ცხოვრება: ამგვარად შემოდის
ქვეყანაში ნამდვილი სიყვარული.

24 აგვისტო

წმ. ბართლომე მოციქული, დ, [ს], წ

2021

სამშაბათი

გამოცხ 21,9-14; ფს 144; იო 1,45-51

აჰა, ნამდვილი ისრაელიცი,
ვისთვისაც უცხოა ზაკვა იო 1,47

ჰეშმარიტად მშვენიერი ხოტბაა იესოსგან! კაცში, რომელიც მასთან შესახვედრად მოდის, სიყალბე არ არის: ის არც მოტყუებულია და არც მომტყუებელი.

მან არ მიიღო გველის ტყუილი, რომელმაც გაანადგურა ევასა და ადამის სიცოცხლე, ამიტომ მას შეუძლია აღიაროს უფალი იესოს, ღვთის ძისა და კაცთა მაცხოვრის ჰეშმარიტება. ეს არის მოციქული ბართლომე: დღეს ჩვენ მადლობას ვუხდით უფალს მისი მოწმეობისათვის.

25 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

წმ. ლუდოვიკე, +1270;

წმ. იოსებ კალასანსი, ხუც., +1648

2021

ოთხშაბათი

1თეს 2,9-13; ფს 138; მთ 23,27-32

განუგეშებით და
გარწმუნებით, რომ გეკლოთ
ღვთის ღირსად 1თეს 2,12

თესალონიკელმა ქრისტიანებმა მიიღეს პავლე მოციქულის შეგონება, რომელიც გახარებულია და მადლობას უხდის ღმერთს ამისათვის. მათ მიიღეს მისი სიტყვა ზუსტად როგორც ღვთის სიტყვა. მათში იწყებს ზრდას და მომწიფებას ახალი სიცოცხლე, სიხარულითა და იმ მშვიდობით მდიდარი, რომელიც უცხოა წუთისოფლისთვის.

26 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I], მწ

2021 ხუთშაბათი

1თეს 3,7-13; ფს 89; მთ 24,42-51

მზად იყავით, ვინაიდან
მოვა ძე კაცისა მთ 24,44

მადლობა, უფალო იესო. შენ არ გვატყუებ. გსურს, მზად ვიყოთ შენს მისაღებად, როცა დაბრუნდები, როდესაც მოხვალ, რათა აღასრულო სავესე და მარადიული სიცოცხლის დანაპირები. მზადა ვართ: ჩვენი მოლოდინი ყველასადმი სიყვარულითაა მოსილი და სავესე და ამგვარად გარდაქმნის წუთისოფელს სამოთხის მოლოდინად.

27 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. მონიკა, +387, (მ), თ

2021

პარასკევი

1თეს 4,1-8; ფს 96; მთ 25,1-13

გონიერებმა თავიანთ
ლამპრებთან ერთად
თან წაიღეს ზეთიც მთ 25,4

იგავი: ათი ახალგაზრდა ქალი, თუმცა ყველა ერთნაირი როდია. არც სამოსი განასხვავებს მათ, არც ასაკი, არც ბეჭდები და არც კულტურა, არამედ მხოლოდ უგნურება. როგორაა შესაძლებელი, რომ ზოგიერთი სულელი იყოს? თუკი თვალი არ უჭირავთ იმაზე, რაც ხდება, მართლა სულელნი ყოფილან. რამდენი უგნური ადამიანია ჩემს ირგვლივ! ვინც მხოლოდ საკუთარი ინსტინქტების დაკმაყოფილებაზე ფიქრობს, ვერ შეუყვარებია, და გარიყული იქნება ნამდვილი სიხარულისგან.

28 აგვისტო

რიგითი XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ეპ. და ეკლ. მოძღ., +430, (მ), თ

2021

შაბათი

1თეს 4,9-11; ფს 97; მთ 25,14-30

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მცირედში ერთგული იყავი,
მრავალზე დაგაყენებ

მთ 25,21

„მცირე“ ამ იგავში არის მატერიალური სიკეთე-
ნი, ხოლო „ბევრი“ კი, – სულიერი. ვის შეიძლება
ანდო ესენი? ძალზე ძვირფასია საიმისოდ, რომ
ნებისმიერს ჩაუგდო ხელში. ვინც ერთგულია, ანუ
ვინც უმტკიცებს იესოს ერთგულებას მატერიალურ
საგანთა მართვისას, ნდობას დაიმსახურებს: შესაძ-
ლებელი იქნება მიანდო მას ღმრთის სიტყვა, მისი
საიდუმლონი, რწმენის საიდუმლოებანი.

29 აგვისტო

რიგითი XXII კვირადღე, «ბ», [II], მწ

2021

კვირა

რჯლ 4,1-2.6-8; ფს 14; იაკ 1,17-18.21-22.27; მარ 7,1-8.14-15.21-23

რაც ადამიანისაგან გამოდის,
ის ბილწავს მას მარ 7,15

ჩვენ სიბილწეთა საბადო ვართ. მუდამ ყურადღე-
ბით ვიქნები იმაზე, რაც მოძრაობს ჩემში, აზრები,
გრძნობები, სურვილები: ისინი შესაძლოა იყოს
ბოროტის ნიშანი ან იარაღი. ჩემში მხოლოდ იმათ
დავტოვებ, რომლებიც გამოხატავს მამის სიყვა-
რულსა და კეთილმოსურნეობას.

30 აგვისტო

რიგითი XXII კვირა [II], მწ

(17.VIII) წმ. ტბელი აბუსერიძე, XIII ს

2021

ორშაბათი

1თეს 4,13-18; ფს 95; ლკ 4,16-30

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

სული უფლისა ჩემზეა ლკ 4,18

იესო იორდანეში ნათლობის შემდეგ პირველად გამოჩნდა ნაზარეთში. ის დგება წინასწარმეტყველის სიტყვის წასაკითხად, რომელიც ზუსტად მესიაზე საუბრობს. მას ახლა არ შეუძლია გაჩუმება: ეს სიტყვა არის ის, ვინც წარმოგვიდგენს მას. მასზე ჩამოსული მტრედი არის სული, რომელმაც მასზე დაივანა. შენც გინდა იგი? ისწრაფე იესოსთან და დარჩი მასთან ახლოს.

31 აგვისტო

რიგითი XXII კვირა [II], მწ

2021

სამშაბათი

1თეს 5,1-6.9-11; ფს 26; ლკ 4,31-37

რა გინდა ჩვენგან,
იესო ნაზარეტელი? ჩვენს
დასაღუპად მოსულხარ? ლკ 4,34

შენც შეგიძლია მიხვდე, ვისი სიტყვებია ეს. ისინი მხოლოდ იესოს მტერს, ანუ ეშმაკს შეიძლება ეკუთვნოდეს. მას სურს ხელი შეუშალოს ადამიანებს, რომ იესოს არ დაუგდონ ყური. შესაძლოა შენ არასოდეს გსმენია მსგავსი სიტყვები, არადა მომხდარა ისე, რომ ჩავთვლემია, გულისყური გაგვანტვია, რაღაცა სხვა უფრო „მნიშვნელოვანი“ გაგხსენებია მაშინ, როცა უფლის სიტყვაზე ყურადღების ჟამი იდგა. ვიფხიზლებთ!